ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 12

ქ. რუსთავი 29 იანვარი 2019 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ „შპს რუსთავის პურკომბინატი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის როლანდ ჩიხლაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 იანვრის №485 განკარგულების (SMP190000459) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

პურპროდუქტები (პური და ნამცხვარი) (შემდგომში საქონელი) - (CPV15811100; CPV15812200) წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და დანართების (№1, №2, №3) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **16396,88** (თექვსმეტი ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 88 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, დანართი №1-ის შესაბამისად;

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მ.შ. ტრანსპორტირების ხარჯს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში;

3.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. საქონლის მიწოდების ვადა, პირობები და ადგილი

4.1. მიწოდების ვადა: საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2019 წლის 01 თებერვლიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

4.2. სურსათის უვნებლობა, ხარისხი, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს;

4.3. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობები წარმოადგენს საორიენტაციო ციფრს, რომლის მიხედვითაც და საჭიროების ფარგლებშიც მოხდება გაერთიანების მიერ მიმწოდებლისათვის ფილიალების მიხედვით შეკვეთის წარდგენა. შესაბამისად, გაერთიანება ვალდებული არ არის სრულად აითვისოს დანართებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა;

4.4. საქონლის დარიგება გაერთიანების ფილიალებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: პური - 07:30 სთ-დან 09:00 სთ-მდე, ნამცხვარი - არაუგვიანეს 14:30 საათისა;

4.5. წერილობითი მოთხოვნა დასარიგებელი საქონლის რაოდენობაზე მიმწოდებელს გაეგზავნება ელექტრონულად: პურის შემთხვევაში - არაუგვიანეს დარიგების წინა დღის 13:00 საათისა, ნამცხვრის შემთხვევაში - არაუგვიანეს დარიგების დღის 10:30 საათისა;

4.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პარასკევ დღეს მიწოდებული პურის რაოდენობის კორექტირება. კერძოდ, არასაჭირო რაოდენობის პურის უკან მიბრუნება, რაზედაც მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი აქტი;

4.7. წერილობითი შეტყობინება, უკან დასაბრუნებელი პურის რაოდენობაზე, მიმწოდებელს გაეგზავნება ელექტრონულად, იმავე დღის არაუგვიანეს 13:00 საათისა;

4.8. მიწოდების ადგილი: ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალები (იხ. დანართი №3).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ეტაპობრივად მიწოდებული საქონლის მიღება განხორციელდება სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები: შესაბამისი ფილიალის გამგე, სამეურნეო ნაწილის გამგე და მედდა;

5.3. საანგარიშო თვის ბოლოს 5.1. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები მ. შ კორექტირებული) საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში დროულად ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას,

გ) ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე,

ბ) საკუთარი შეხედულებისამებრ საქონლის ნებისმიერი პარტიის მიწოდებისას მიმწოდებლის თანდასწრებით დამატებითი კვლევისათვის მოახდინოს ნიმუშის აღება-დალუქვა და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში ლაბორატორიული კვლევისათვის გადაგზავნა. უარყოფითი დასკვნისა და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში უარი განაცხადოს მთლიანი პარტიის მიღებასა და ანაზღაურებაზე, ხოლო მიმწოდებელებს დააკისროს პირგასამტეხლო და ყველა ხარჯის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება წუნდებული და საკვებად უვარგისი საქონლის მიწოდებისაგან.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება,

ბ) არაუგვიანეს 2019 წლის 31 იანვრისა წარმოადგინოს ხარისხის სერთიფიკატი ან/და შესაბამისობის დეკლარაცია და მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში წინასწარ, საქონლის ახალი პარტიის მიწოდებამდე წარმოადგინოს განახლებული სერთიფიკატები/დეკლარაციები,

გ) არაუგვიანეს 2019 წლის 31 იანვრისა და შემდგომ პარტიის შეცვლის შემთხვევაში (საქონლის მიწოდებამდე 5 სამუშაო დღით ადრე) წარმოადგინოს აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული კვლევის ოქმი შემდეგ მაჩვენებლებზე:

- **პური:**
  - ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები;
  - ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები;
  - ტოქსიკური ელემენტები;
  - მიკროტოქსინები;
  - რადიონუკლიდები;
  - ქლორორგანული პესტიციდები.

- **ნამცხვარი ხილის ჯემით:**
  - ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები;
  - ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები;
  - ტოქსიკური ელემენტები;
  - ცხიმი (ტრანს-ცხიმები).

დ) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა დააკორექტიროს სასაქონლო ზედნადებები.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებენ გაერთიანების კვებისა და სანიტარული ნორმების ინსპექტირების განყოფილება განყოფილების უფროსის სახით და ხარისხის კონტროლის ჯგუფი, ჯგუფის უფროსის;

7.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. საქონლის მიწოდების პირობებისა და ვადების, მ.შ. სასაქონლო ზედნადებების დაკორექტირების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს დაანგარიშება მოხდება:

ა) საქონლის მიწოდების პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში ერთჯერადად, დარღვევების ყოველ დღეზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

ბ) სასაქონლო ზედნადებების დაკორექტირების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაკორექტირებელი-ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ

შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან;

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 29 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“	„შპს რუსთავის პურკომბინატი“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20	მის: თბილისი, ზ. ქვლივიძის ქ., №4
ს/კ 216439325	ს/კ: 402100739
სახელმწიფო ხაზინა	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE22BG0000000101502184
დირექტორი ეკატერინა ხუციშვილი	KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY Date: 2019.01.29 15:29:05 +04'00'
	დირექტორი როლანდ ჩიხლაძე

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზომ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	2	3	4	5	6
1	პური (დაჭრილი)	კგ	8800	1.43	12,584.00
2	ნამცხვარი (ხილის ჯემით)	ცალი	15887	0.24	3,812.88
ჯამი					16,396.88

შემსყიდველი
ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“

დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი

მიმწოდებელი
შპს რუსთავის პურკომბინატი

დირექტორი
როლანდ ჩიხლაძე

აღწერილობა და მიწოდების გრაფიკი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	განზ.	რ-ბა	მიწოდების გრაფიკი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია
1	2	3	4	5	6	7	8
1	**პური (დაჭრილი)**	ქარხნული წარმოების, კვების პროდუქტებისათვის განკუთვნილი მასალით მთლიანად შეფუთული; შესაბამისად ეტიკეტირებული; წონა: 0,5-1,0 კგ; დაჭრილი 50 გრ. ნაჭრებად; დამზადებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, სიმჟავისა და ტენიანობის გარეშე; სუნი და გემო დამახასიათებელი შესაბამისი პროდუქტისათვის; არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და მოუზელავ ნაწილაკებს; შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს; მიწოდება უნდა განხორციელდეს, გამოცხობიდან 2-5 სთ–ის შემდეგ.	კგ	8800	ყოველ დღე, დასვენების დღეების გარდა 07:30 სთ-დან 09:00 სთ-მდე.	საქართველო	შპს თრეიდი

2	**ნამცხვარი (ხილის ჯემით)**	ნამცხვარი ხილის ჯემით; შემადგენლობა: ხორბლის ფქვილი, ხილის ჯემი, მცენარეული ცხიმი (პალმის ზეთის გარდა), შაქარი, სიროფი, სახამებელი, ვანილი. კვებითი ღირებულება 100 გრ. პროდუქტზე არანაკლებ 470 კ/კალ. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისთვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს; მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების გარეშე; უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს; წონა არანაკლებ 50 გრ. არაუმეტეს 50 ცალიანი ქარხნული შეფუთვით, სათანადოდ ეტიკეტირებული. მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა არანაკლებ 20 (ოცი) დღე.	ცალი	15887	კვირაში ერთხელ ან ორჯერ არაუგვიანეს 14:30 საათისა.	საქართველო	შპს ნილი

შემსყიდველი
ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“

დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი

მიმწოდებელი
შპს რუსთავის პურკომბინატი

დირექტორი
როლანდ ჩიხლაძე

დანართი №3

საქონლის მიწოდების ადგილი

საქონლის მიწოდება განხორციელდება გაერთიანების ფილიალებში, შემდეგ მისამართებზე:

№	ფილიალის ნომერი	მისამართი
1	№ 1	კონსტიტუციის ქ. **№** 5ა
2	№ 6	დონეცკ. მეტალურგთა ქ. № 20
3	№ 8	რუსთაველის გასასვლელი № 20
4	№ 10	ცურტაველის ქ. № 2ა
5	№ 11	მაჩაბელის ქ. № 21
6	№ 17	თოდრიას I ჩიხი
7	№ 18	ფალიაშვილის ქ. № 7
8	№20	კლდიაშვილის ქ. № 8
9	№ 21	კოსტავას ქ. № 17ა
10	№ 22	თოდრიას III ჩ № 7ა
11	№ 23	9 ძმა ხერხეულიძის № 7
12	№ 25	ახმეტელის ქ. №8
13	№27	მესხიშვილის III გას. № 4ა
14	№ 31	XX მ/რ-ნი
15	№32	XXI მ/რ-ნი
16	№ 33	XXI მ/რ-ნი
17	№ 36	XII მ/რ-ნი
18	№37	XVI მ/რ-ნი
19	№ 40	XVII მ/რ-ნი
20	№41	ტოლსტოის ქ. № 2
21	№ 43	XIX მ/რ-ნი

შემსყიდველი
ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“

დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი

მიმწოდებელი
შპს რუსთავის პურკომბინატი

დირექტორი
როლანდ ჩიხლაძე